

GrCF - ბათუმის ავტობუსები

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	48104
ბიზნეს სექტორი:	მუნიციპალური და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურა
შეტყობინების ტიპი:	საჯარო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
საბჭოზე გატანის თარიღი:	14 ივნისი, 2017
სტატუსი:	თანხების ათვისების ეტაპი
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:	16 ნოემბერი, 2018

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილია 5.5 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი, რომელიც სესხის სახით გადაეცემა ქალაქ ბათუმს (შემდგომში „ქალაქი“) მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) სასარგებლოდ. სესხი იყოფა ორ ტრანშად: პირველი შეადგენს 3.2 მილიონ ევროს, მეორე - 2.3 მილიონ ევროს.

მეორე ტრანში თანადაფინანსებულია აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P) მიერ გამოყოფილი 1.5 მილიონი ევროს ოდენობის კაპიტალური გრანტით.

პროექტის მიზნები

პროექტის მიზანია ახალი ავტობუსების შესყიდვის გზით ბათუმში ავტობუსების მუშაობის გაუმჯობესება და მათი მოდერნიზების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პაკეტი კომპანიის საოპერაციო და ფინანსური აღსრულების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც კორპორატიული განვითარების პროგრამის (CDP) საშუალებით დაეხმარება ქალაქს მოამზადოს მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა (GCAP) და აამაღლოს ცნობიერება ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გარდაქმნის ეფექტი

ძლიერი/კარგი

„მწვანე ქალაქების“ ჩარჩო პროექტი და მისი თითოეული ქვე-პროექტი ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს გარემოსდაცვითი კუთხით და ასევე აამაღლებს გარდაქმნის ეფექტის „მწვანე ეკონომიკის“ მახასიათებლის ხარისხს შესაბამისი ქალაქებისთვის „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის“ GCAP-ის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

ჩარჩო პროექტი ხელს შეუწყობს გარდაქმნის ეფექტის იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია გარდაქმნის ეფექტის მახასიათებელთან „მართვის მაღალი ხარისხი“, რაც გულისხმობს მხარდაჭერას ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებაში, გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვის, რეგულირებისა და კონტროლის თვალსაზრისით და აგრეთვე დახმარებას ეკონომიკის შესაბამის დარგებში სახელშეკრულებო, ფინანსური და საოპერაციო გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში.

გარდაქმნის ეფექტის ხარისხის მახასიათებლები, რომელთაც გააუმჯობესებს პროექტი შესაბამისობაშია „მწვანე ქალაქების“ ჩარჩო პროექტთან (GrCF). i) გარდაქმნის ეფექტის „მწვანე ეკონომიკის“ ხარისხის მახასიათებელს გააუმჯობესებს CO₂ ემისიების გამოყოფისა და ადგილობრივი ჰაერის დამაბინძურებლების საგრძნობი შემცირება. ii) გარდაქმნის ეფექტის, „მართვის მაღალი ხარისხის“ მახასიათებელს კი ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული დაგეგმვა, ზედამხედველობისა და გარემოს დაცვის აქტივობების გაუმჯობესებული მონიტორინგი GCAP-ის ფარგლებში და აგრეთვე ბათუმში ავტობუსების ოპერირებისათვის აუცილებელი გაუმჯობესებული სახელშეკრულებო და მარეგულირებელი მოწყობა.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველო, სახელმწიფო სესხი

საქართველოს მთავრობა, ქალაქი და კომპანია.

ევრობანკის დაფინანსება

5,500,000.00 ევრო.

5.5 მილიონი ევროს ოდენობის საქართველოსათვის გამოყოფილ სახელმწიფო სესხს ახლავს 1.5 მილიონი ევროს ოდენობის კაპიტალური გრანტი E5P ფონდიდან. თანხა სესხის სახით გადაეცემა ქალაქ ბათუმს კომპანიის სასარგებლოდ.

პროექტის ჯამური ღირებულება

7,000,000.00 ევრო.

პროექტის ჯამური ღირებულება, E5P ფონდის თანადაფინანსების ჩათვლით, 7 მილიონ ევროს შეადგენს.

პროექტში ასევე გათვალისწინებულია ტექნიკური თანამშრომლობის დავალებები პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში მხარდაჭერის მიზნით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მიენიჭა კატეგორია B ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (ESP) ფარგლებში (2014). ჩაითვალა, რომ ახალი ელექტროავტობუსების შემენა-ამუშავებასა და დეპოს განახლებასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენა დიდწილად სასარგებლო იქნება. ნებისმიერი პოტენციურად მავნე გავლენა გარემოს დაცვისა და სოციალური კუთხით შეეხება კონკრეტულ ადგილებს და მათი მართვა შესაძლებელია ESAP-ის დანერგვის გზით. პროექტი გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობისა და მობილობის, ასევე ჰაერის ხარისხის კუთხით არსებულ ვითარებას ურბანული ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდასთან ერთად.

გარემოს დაცვისა და სოციალური შეფასება (ESDD) ჩატარდა კომპანიის შიგნით და მოიცავდა კომპანიის არსებული მენეჯმენტის სისტემების, საშუალებების და ოპერაციების მიმოხილვას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოსდაცვისა და სოციალურ საკითხებთან (EHS) დაკავშირებულ პრაქტიკას დეპოში და ტექნიკური მომსახურების ობიექტებზე, ასევე, სამუშაო პირობებს და საგზაო და მძღოლის უსაფრთხოების საკითხებს. შეფასება ასევე მოიცავდა პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენისა და დადებითი შედეგების ანალიზს, რომლის მიზანიც ავტობუსების მახასიათებლების ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით განსაზღვრა იყო.

კომპანია ბანკის არსებული კლიენტია და ESDD-იმ დაადასტურა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მან საგრძნობ პროგრესს მიაღწია გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) მიდგომების გაუმჯობესების მხრივ და გააჩნია ინსტიტუციური და ტექნიკური უნარი პროექტის განსახორციელებლად. შეფასების პროცესმა აჩვენა, რომ არსებული გარემოს დაცვის, შრომითი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პრაქტიკა და მენეჯმენტის სისტემები მთლიანობაში შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. მთავარი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებას, დაკავშირებულია უსაფრთხო სამუშაო გამოცდილებასთან, მოძრაობისა და სახანძრო უსაფრთხოებასთან, გამდინარე წყლების და ნარჩენების მართვასთან ავტობუსების დეპოში. კომპანიის დონეზე გარემოს დაცვის, სოციალური და უსაფრთხოების მართვის სისტემები ასევე საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, მათ შორისაა: დამატებითი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტრენინგი, რისკის შეფასების, ინსპექციის განხორციელების, ინციდენტების გამოძიების, ანგარიშგებისა და საჩივრების სათანადოდ მართვა. შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინება მოხდა გარემოს დაცვისა და სოციალურ სამოქმედო გეგმაში (ESAP), რომელსაც კლიენტიც გაეცნო. მთლიანობაში დადასტურდა, რომ პროექტის სტრუქტურა შეესაბამება ევრობანკის შესრულების მოთხოვნებს (EBRD Performance Requirements PR).

ბანკი განახორციელებს კომპანიის აქტივობების მონიტორინგს ყოველწლიური ანგარიშების საშუალებით, შესაძლოა ასევე დაიგეგმოს ადგილზე ვიზიტები რისკებიდან გამომდინარე.

ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ტექნიკური თანამშრომლობის (TC) შემდეგი პაკეტი:

- TC 1: ტექნიკური და ფინანსური შეფასება და მხარდაჭერა შესყიდვების პროცესში. 70,000 ევრო გამოიყო E5P-ის ფარგლებში EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან (SSF).

- TC 2: TC 1-ის გაფართოება დაჩქარებული შესყიდვების მხარდაჭერისათვის პროექტის დროული და ეფექტური განხორციელების მიზნით. 70,000 ევრო დაფინანსებული EBRD-ის SSF-დან.
- TC 3: GCAP-ის განვითარება ქალაქისათვის. 300,000 ევრო დაფინანსებული EBRD-ის SSF-დან.
- TC 4: კორპორატიული განვითარება და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა. 280,000 ევრო გამოიყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მუნიციპალური პროექტის მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი კონცელიძე

info@batauto.ge

+995422247676

<http://batauto.ge>

სულხან-საბა ორბელიანის ქ.13, ბათუმი, საქართველო

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის იხილეთ [EBRD შესყიდვები](#)

ტელ: +44 20 7338 6794;

ელექტრონული ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაციის მიღებისათვის

EBRD-ის პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული შესყიდვებთან:

ტელ: +44 20 7338 7168

ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

პოლიტიკა საჯარო ინფორმაციის შესახებ (PIP)

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელების გზები და ის კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. ეწვიეთ საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკის (PIP) ქვემოთ მითითებულ გვერდს, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ, თუ როგორ შეიძლება საჯარო სექტორის შესახებ საბჭოს ანგარიშის (Public Sector Board Report) მოთხოვნა.

[პოლიტიკის \(PIP\) დოკუმენტის ტექსტი](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

[პროექტების გასაჩივრების მექანიზმი \(PCM\)](#) EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირების მხრიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელად განხილვის შესაძლებლობას. ხსნებული საჩივრები შეიძლება ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ იმ პროექტებს, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა გამოიწვიონ ზიანი გარემოს დაცვისა და /ან სოციალური კუთხით.

გთხოვთ ეწვიოთ [პროექტების გასაჩივრების მექანიზმის \(PCM\)](#) გვერდს, სადაც განთავსებულია საჩივრის წარმოდგენის წესები და პროცედურები. PCM-ის ოფიცერი (pcm@ebrd.com) ხელმისაწვდომია თქვენს ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი საჩივარი და რა კრიტერიუმები არსებობს მის რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, [PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად](#).